ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4716113

ნომერი: AR1711285

თარიღი : 07.10.2019

გაცემის თარიღი : 18.10.2019

გაცნობის თარიღი : 18.10.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ეკა ბეჟანიშვილი , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი ხოსრუაშვილი პ/ნ 01019058137
- თბილისი დიდი ჯიხაიშის I შეს. N 18

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4695671
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 2.10.2019

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამი ხოსრუაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ფორსი

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405088168

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ატლასი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400048809
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: რომანი ბზიავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01019002879

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 453.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 224.4
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 841.9
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 24.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 234.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 231.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 10.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3087.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2785.1
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 302.3
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 14.3
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 12.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ1-0.5 . საპროექტო 224.4 კვ.მ. კ1-0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ2-1.5 . საპროექტო 671.1 კვ.მ. კ2-1.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : დადგენილი კ3-0.3 . საპროექტო 230.3 კვ.მ. კ3-0.5
- .სასტუმროს ნომრების ფართობი (კვ.მ): 341.1

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზი უკანა ეზოსთვის;

.წარმოადგინეთ ხაზოვანი ნაგებობის N01.01.256 მესაკუთრის პოზიცია გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების თაობაზე;

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოადგინეთ განახლებული ფოტომასალა თარიღის მითითებით;

3.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : არასრული სართულის იატაკის კონსტრუქციის ზედაპირის ფართობი – კ-2 კოეფიციენტის
საანგარიშო ფართობში შედის 1/2-ით, შესაბამისად კ-2 ში იანგარიშეთ სახურავზე ასასვლელი კიბის უჯრედის

ფართიც და საჭიროების შემთხვევაში გადაიხადეთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელიც;

4.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კ-3 კოეფიციენტში არ უნდა იანგარიშოთ პირველ სართულზე აივნების ქვევით არსებული სივრცე;

5.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: მიუთითეთ პანდუსის გაბარიტული ზომები, ნიშნულები;
გ-ბ ღერძებში განთავსებული ღიობით და ტერასით (+9.90 ნიშნული) ირღვევა სამეზობლო მიჯნა. შესაბამისად დააკორექტირეთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;
წარმოსადგენია კიბის უჯრედის, აივნის მოაჯირის, ფასადის დეტალის ნახაზები;

6.შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.: ცეცხლმედეგობის აღნიშვნები დაიტანეთ ჭრილებზეც;

7.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: მაქსიმალური სიმაღლის განმსაზღვრელი განაშენიანების რეგულირების ხაზი უნდა ააგოთ უკანა ეზოდანაც და გაითვალისწინეთ, რომ თუ L-ის მნიშვნელობა შენობის საანგარიშო ზედაპირის მიმართ განსხვავებულია, H უნდა გამოითვალოს L-ის უმცირესი მნიშვნელობიდან.

8.ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები. -> .ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედების pdf ფაილი (ზომების და ნიშნულების ჩვენებით). : წარმოდგენილი ვიზუალი მოპირკეთების ნაწილში არ არის მისაღები, საზოგადოებრივი სივრცეების მხარეს საჭიროა ფასად(ებ)ის უმეტეს ნაწილზე გამოყენებულ იქნეს ხანმედეგი და საქალაქო განაშენიანებისთვის შესატყვისი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალები.

9.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : დააკორექტირეთ ხარვეზების შესაბამისად;

10.III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.: არასწორადაა შევსებული. ექსპერტის მონაცემები შეავსეთ ექსპერტიზის ავტორის შესაბამისად;

11.III კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: პირველ სართულზე შიგა გასასვლელის გზა-კიბეები,რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში გასასვლელის კომპონენტებია, უნდა მოეწყოს ამ ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები და პანდუსები პირდაპირ შენობის გარეთ უნდა მიემართებოდეს ან შენობის გარე მხარემდე უნდა გაგრძელდეს 1023-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი გასასვლელის გზა-დერეფნით (1022.1);

12.საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი: წარმოადგინეთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები;

13. საკითხი გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქაალქო სამსახურში. პასუხი გეცნობებათ დამატებით;
გაითვალისწინეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზები და წარმოადგინეთ კორექტირებული დოკუმენტაცია;
14. შესაბამის ველში წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა;

15.საინფორმაციო დაფა - ბანერი. -> .საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: წარმოსადგენია ბანერის კითხვადი

ფოტოები და გაითვალისწინეთ, რომ ნებართვის სტადიაზე ბანერი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის სტანდარტული ვადა;
დ)შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები;
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება. ბანერის ფოტოები უნდა იყოს დათარიღებული;

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.